

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N18 საცხოვრებელი სახლის
N5 ბინის 1/3 ნაწილზე, მოქალაქე დარეჯანი კვერნაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა წყალტუბოს რაიონი, სოფ.მადლაკში მცხოვრები მოქალაქე დარეჯანი კვერნაძის წარმომადგენლის დავით ბზიკაძის განცხადებები /2014 წლის 27.03 Nბ-2099, 07.04 Nბ-2439/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N18 საცხოვრებელი სახლის N5 ბინის 1/3 ნაწილზე/ საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე დარეჯანი კვერნაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N18 საცხოვრებელი სახლის N5 ბინის 1/3 ნაწილზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე დარეჯანი კვერნაძეს /პირადი N53001042104/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N18 საცხოვრებელი სახლის N5 ბინის 1/3 ნაწილზე, საერთო ფართობი 48,08 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 26,26 კვ.მ, დამხმარე ფართობი 20,02 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 1,80 კვ.მ./ მოქალაქე დარეჯანი კვერნაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი